



საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 9 ოქტომბრის №1-1/2146 ბრძანება, „შპს „გურია ჯგ“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის №1-1/2220 ბრძანება, შპს „ჰაუს“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის №1-1/2222 ბრძანება, „შპს „იმედზე“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის №1-1/2225 ბრძანება, „ი/მ ვეფხვია შუბითიძეზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის №1-1/2388 ბრძანება.

აღნიშნული აუქციონების გამოცხადების და შემდგომში მისი შედეგების ძალაში შესვლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემით დაირღვა საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ:

საქართველოს ტყის კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 35-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების, 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის, “გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” კონვენციის (შემდგომში - ორჰუსის კონვენცია) მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილების, "საქართველოს “წითელი ნუსხისა” და “წითელი წიგნის” შესახებ” საქართველოს კანონის 12-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების მოთხოვნები.

მიგვაჩნია, რომ რაციონალურ აზრს მოკლებულია დაწვრილებით დავასაბუთოთ თითოეული ზემოთ ხსენებული მუხლის დარღვევა, ვინაიდან:

- ზემოთ აღნიშნული კანონდარღვევების გამო, რომელიც ახლდა აუქციონების გამოცხადებას მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივრებით მიმართა პრემიერ-მინისტრს და მოითხოვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 სექტემბრის №1-1/1788 და 2008 წლის 5 სექტემბრის 1-1/1801 და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დასრულებამდე. საჩივრის განხილვა კი ჩატარდა ამ ბრძანებით გამოცხადებული აუქციონების გამართვის შემდეგ, როდესაც გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებას აზრი ჰქონდა დაკარგული. ამდენად განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა.
- კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლები უკვე ზეპირი მოსმენის დროს გამოხატავდნენ თავის დამოკიდებულებას საჩივრებში დასმული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, ხოლო საჩივრების ზეპირი განხილვის ოქმში არასრულად იქნა ასახული სხდომის მიმდინარეობა (არ იქნა ასახული მნიშვნელოვანი მომენტები, რომელთა შეტანა მოითხოვა მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელმა. მანამდე უარყოფილი იქნა მისი მოთხოვნა სხდომის აუდიო ჩანაწერის გაკეთების შესახებ). სხდომის ოქმი წინასწარ არ გაგვაცნეს, რასაც მოითხოვს კანონმდებლობა.
- აღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული დასკვნა, წარმოადგენს არაკომპეტენტურობის კლასიკურ ნიმუშს, რაზეც

თუნდაც ეს მაგალითი მეტყველებს: ამ სამინისტროს განმარტებით, „სალიცენზიო პირობების შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 1 წლის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სატყეო სამეურვეო საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ორგანიზაციის მიერ მენეჯენტის პრინციპების საფუძვლზე შედგენილი მართვის გეგმა“ (სტილი დაცულია). ასეთი მოთხოვნა არ არსებობს არც გასაჩივრებული ბრძანებებით დადგენილ სალიცენზიო პირობებში, არც საქართველოს მთავრობის დადგენილებაში „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. წელიწადზე მეტია, ლიცენზიის მფლობელებს საერთაშორისო სატყეო სამეურვეო საბჭოს პრინციპებთან შესაბამისობის პირობის შესრულება არ მოეთხოვებათ. ამის ნაცვლად არსებობს სალიცენზიო პირობა, რომლის თანახმადაც ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 10 თვისა სამინისტროში დასამტკიცებლად წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი ტყით სარგებლობის გეგმა. ტყით სარგებლობის გეგმასთან ერთად წარადგინოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი ეკოაუდიტორული დასკვნა. სამწუხაროდ, არც ამ დასკვნის შემდგენელს და არც მის ხელმომწერს ელემენტარული წარმოდგენა არ აქვს იმ საკითხზე, რის ცოდნაც მისთვის სავალდებულოა და რაშიც ხელფასს იღებს.

- გასაჩივრებული ბრძანებების (იგულისხმება როგორც ის ბრძანებები, რომლებითაც გამოცხადდა აუქციონები, ასევე ისინიც, რომლითაც ძალაში შევიდა მათი შედეგები) შემდგენელმა და ხელმომწერმა არ იცის, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 2 მაისის №303 ბრძანებულებით დამტკიცდა „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების წითელი ნუსხა“ და სწორედ მას გააჩნია ლეგალური ძალა და არა „საქართველოს სსრ წითელ წიგნს“. ამ არაკომპეტენტურობის გამოვლინებებს ყურადღება არ მიაქცია მთავრობის იურიდიულმა დეპარტამენტმა, მით უმეტეს ზეპირი განხილვის დროს ამაზე მიუთითა ჩვენმა წარმომადგენელმა.
- საჩივრის განხილვისას საერთოდ არ მიაქცევს ყურადღება იმ გარემოებებს, რომლითაც საგანგებოდ ვუთითებდით, რომ ზოგიერთი ლოტის სალიცენზიო პირობები მისადაგებულია კონკრეტულ პრეტენდენტზე. აუქციონის გამოცხადებამდე კერძო მოლაპარაკების შედეგად; სალიცენზიო პირობები შესრულება შეუძლებელია, რის გამოც ლიცენზიის გამცემი იძულებული გახდება ლიცენზიის გაუქმების საკითხი დასვას პირობების შეუსრულებლობის გამო, ან თვალი დახუჭოს მათ დარღვევაზე, რასაც აქვს ადგილი დღეს მოქმედი ტყითსარგებლობის ხანგრძლივადიანი ლიცენზიების შემთხვევაში; ასეთი ურთიერთობა ლიცენზიის გამცემსა და ლიცენზიანტს შორის კორუფციულ გარემოს ქმნის. ყოველივე ეს არ უწყობს ხელს სატყეო სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, ჯანსაღ კონკურენციასა და ეკონომიკურ წინსვლას, უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე.

ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, კვლავ ვიმეორებთ, რომ ასეთი უსამართლობის პირობებში უაზრობად მიგვაჩნია, დაწვრილებით განვიხილოთ კანონმდებლობის თითოეული დარღვევა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობის კიდევ ერთი გამოვლინებაა გასაჩივრებული აქტების ის პუნქტები, სადაც აღნიშნულია, რომ ბრძანებები შეიძლება გასაჩივრდნენ საქართველოს მთავრობაში ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. თუ მინისტრი და მისი მოადგილე არა, მისი იურიდიული სამსახური მაინც უნდა იცნობდეს ამ კანონს.

ამრიგად საქართველოს ტყის კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 35-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების, 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის, “გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” კონვენციის (შემდგომში - ორჰუსის კონვენცია) მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილების, "საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ" საქართველოს კანონის 12-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების მოთხოვნების დარღვევის გამო, მოვითხოვთ, ბათილად იქნეს ცნობილი შემდეგი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები:

- „შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო.ლტდ“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 9 ოქტომბრის №1-1/2142 ბრძანება,
- „შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო.ლტდ“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 9 ოქტომბრის №1-1/2143 ბრძანება,
- „შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო.ლტდ“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 9 ოქტომბრის №1-1/2144 ბრძანება,
- „შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო.ლტდ“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 9 ოქტომბრის №1-1/2145 ბრძანება,
- „შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო.ლტდ“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 9 ოქტომბრის №1-1/2146 ბრძანება,
- „შპს „გურია ჯგ“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის №1-1/2220 ბრძანება,
- შპს „ჰაუზ“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის №1-1/2222 ბრძანება,

- „შპს „იმედზე“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ” საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის №1-1/2225 ბრძანება, „ი/მ ვეფხვია შუბითიძეზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ” საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის №1-1/2388 ბრძანება.

გასაჩივრებული ბრძანებების ასლები გამოვითხოვეთ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან 2008 წლის 29 ოქტომბრის № 04/03-120 წერილით. ადრესატს წერილი ჩაბარდა 2008 წ. 30 ოქტომბერს. პასუხი სამინისტრომ მინისტრის მოადგილის გ. ცხაკაიას ხელმოწერით გამოაგზავნა 2008 წ. 26 ნოემბერს, ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ვადის მნიშვნელოვანი დაგვიანებით. ადმინისტრაციული აქტები ჩაგვბარდა, ანუ მათი გაცნობის საშუალება მოგვეცა 2008 წლის 28 ნოემბერს.

ასევე, გთხოვთ, დააყენოთ საჯარო ინფორმაციის მოწოდებისათვის დადგენილი ვადის დარღვევისათვის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოხელეთა პასუხისმგებლობის საკითხი.